

შპს ალტაოქეი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს**

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ამონაგები	17
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
7. სხვა შემოსავალი	18
8. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	18
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
10. ძირითადი საშუალებები	19
11. მარაგები	20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	23
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
18. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	24

მმართველობის ანგარიშგება	30
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ალტაოქეის მეწილეებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალტაოქეის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 ივლისი 2019 წელი

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.


მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 ივლისი 2019 წელი

შპს ალტაოქი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	119,396,452	116,337,344
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(105,133,658)	(99,496,321)
საერთო მოგება		14,262,794	16,841,023
სხვა შემოსავალი	7	2,913,281	2,134,515
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	8	(14,648,132)	(15,292,699)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,681,772)	(1,521,340)
საოპერაციო მოგება		846,171	2,161,499
საპროცენტო შემოსავალი		24,395	39,656
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(1,932)	(3,454)
მოგება დაბეგვრამდე		868,634	2,197,701
მოგების გადასახადის ხარჯი		(55,364)	-
მთლიანი სრული მოგება		813,270	2,197,701

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2019 წლის 29 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გ. ჟურული

ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი _____ გ. კუტალაძე

10-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტაოქეი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	119,396,452	116,337,344
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(105,133,658)	(99,496,321)
საერთო მოგება		14,262,794	16,841,023
სხვა შემოსავალი	7	2,913,281	2,134,515
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	8	(14,648,132)	(15,292,699)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,681,772)	(1,521,340)
საოპერაციო მოგება		846,171	2,161,499
საპროცენტო შემოსავალი		24,395	39,656
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(1,932)	(3,454)
მოგება დაბეგვრამდე		868,634	2,197,701
მოგების გადასახადის ხარჯი		(55,364)	-
მთლიანი სრული მოგება		813,270	2,197,701

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2019 წლის 29 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გ. ჟურული

ფინანსური განყოფილების
ხელმძღვანელი

გ. კუტალაძე

შპს ალტაოქეი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,611,429	2,640,586
არამატერიალური აქტივები		33,718	-
		2,645,147	2,640,586
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	17,276,084	18,309,251
საგადასახადო აქტივი		265,283	1,284,599
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	722,917	1,001,105
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,713,288	4,972,784
		19,977,572	25,567,739
სულ აქტივები		22,622,719	28,208,325
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,000,000	5,000,000
გაუნაწილებელი მოგება		724,704	2,511,434
სულ საკუთარი კაპიტალი		5,724,704	7,511,434
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	16,898,015	20,696,891
სულ ვალდებულებები		16,898,015	20,696,891
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		22,622,719	28,208,325

10-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტაოქეი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2016	5,000,000	313,733	5,313,733
მთლიანი სრული მოგება	-	2,197,701	2,197,701
31.12.2017	5,000,000	2,511,434	7,511,434
მთლიანი სრული მოგება	-	813,270	813,270
დივიდენდების განაწილება	-	(2,600,000)	(2,600,000)
31.12.2018	5,000,000	724,704	5,724,704

10-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტაოქეი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		138,747,527	131,068,062
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(134,843,573)	(125,060,839)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,980,047)	(2,939,893)
საბანკო ხარჯები		(9,262)	(2,705)
მიღებული პროცენტები		24,395	39,656
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		939,040	3,104,281
გადახდილი გადასახადები		(813,469)	(1,240,709)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		125,571	1,863,572
ფულადი სახსრების საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(783,784)	(102,235)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(783,784)	(102,235)
ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდების გაცემა		(2,600,000)	-
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,600,000)	-
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(1,283)	(4,765)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(3,259,496)	1,756,572
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	4,972,784	3,216,212
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	1,713,288	4,972,784

10-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალტაოქეი დაფუძნდა 2015 წლის დეკემბერში. საწყისი საკუთარი კაპიტალი განისაზღვრა დამფუძნებლების 5,000,000 ლარის შენატანით შპს ალტას (50%) და შპს ოქეის (50%) მიერ. შპს ალტა და შპს ოქეი ერთობლივად აკონტროლებენ შპს ალტაოქეის.

2016 წლის ივნისში კომპანიამ დაიწყო საოპერაციო საქმიანობა და ბაზარზე შევიდა მაღაზიების ქსელით, რომლითაც მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან ელექტრონულ მოწყობილობებს და საყოფაცხოვრებო ტექნიკას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შპს ალტა	50%	50%
შპს ოქეი	50%	50%
სულ	100%	100%

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 15 – ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია იყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს 2018 წლის 1 იანვრის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე ფასს 9 და ფასს 15 გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში.

კომპანიის შეფასებით ფასს 9 და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღრიცხვავ საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამ სტანდარტის დანერგვით კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და ამ აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას 13,789,426 ლარის ოდენობით.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები - კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის, დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	545,612	791,407
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,713,288	4,972,784
	2,258,900	5,764,191
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,261,195	20,139,215
	16,261,195	20,139,215

ფას 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფას 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფას 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას კაპიტალის ზრდით, დივიდენდების განაწილებით და ა.შ.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2018
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	545,612	-	-	545,612
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,695,975	-	17,313	1,713,288
	<u>2,241,587</u>	<u>-</u>	<u>17,313</u>	<u>2,258,900</u>
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,241,275	19,920	-	16,261,195
	<u>16,241,275</u>	<u>19,920</u>	<u>-</u>	<u>16,261,195</u>
ღია სავალუტო პოზიცია	<u>(13,999,688)</u>	<u>(19,920)</u>	<u>17,313</u>	

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2017
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	791,269	138	-	791,407
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,953,148	8,070	11,566	4,972,784
	5,744,417	8,208	11,566	5,764,191
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,133,517	5,698	-	20,139,215
	20,133,517	5,698	-	20,139,215
ღია სავალუტო პოზიცია	(14,389,100)	2,510	11,566	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი/ დოლარი + 20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ ევრო + 20%	ლარი/ ევრო - 20%
31.12.2018				
მოგება/(ზარალი)	(3,984)	3,984	3,463	(3,463)
31.12.2017				
მოგება/(ზარალი)	502	(502)	2,313	(2,313)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიქმნება ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან.

დეტალური ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადაგადაცილების შესახებ წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	545,612	791,407
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	1,521,077	4,848,289
	2,066,689	5,639,696

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2018	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,261,195	-	-	16,261,195
	16,261,195	-	-	16,261,195

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

31.12.2017	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,139,215	-	-	20,139,215
	<u>20,139,215</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>20,139,215</u>

5. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ელექტრო-მოწყობილობების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, შემოსავლები რეალიზებული საქონლის სახეობების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საინფორმაციო ტექნოლოგიები*	88,875,555	87,724,533
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	26,722,728	25,271,019
სხვა	3,798,169	3,341,792
	<u>119,396,452</u>	<u>116,337,344</u>

(*) - საინფორმაციო ტექნოლოგიები შედგება შემდეგი ჯგუფებისგან: სმარტფონები, ტელევიზორები, ნოუტბუქები, კომპიუტერები, თამაშები, ვიდეო კამერები, ტალბეტები, პრინტერები, სკანერები, პროექტორები და მათი აქსესუარები.

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან საქონელს. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს მოძრაობას სახელშეკრულებო ვალდებულებებში.

მომხმარებლების მიერ გადახდილი ავანსები

	2018	2017
1 იანვარი (შენიშვნა 14)	557,676	476,134
31 დეკემბერი (შენიშვნა 14)	<u>636,820</u>	<u>557,676</u>
ზრდა	<u>79,144</u>	<u>81,542</u>

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საინფორმაციო ტექნოლოგიები*	(80,359,266)	(76,606,300)
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	(21,732,888)	(20,581,293)
სხვა	(3,041,504)	(2,308,728)
	(105,133,658)	(99,496,321)

(*) - საინფორმაციო ტექნოლოგიები შედგება: სმარტფონებისგან, ტელევიზორებისგან, ნოუტბუქებისგან, კომპიუტერებისგან, თამაშებისაგან, ვიდეო კამერებისგან, ტაბლეტებისგან, პრინტერებისგან, სკანერებისგან, პროექტორებისგან და მათი აქსესუარებისგან.

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მომწოდებლებისგან მიღებული ფასდაკლებები*	2,798,763	2,130,244
სხვა შემოსავალი	114,518	4,271
	2,913,281	2,134,515

(*) - მომწოდებლებისგან მიღებული ფასდაკლებები - მოიცავს ისეთი ტიპის ფასდაკლებებს, რომლებიც უკავშირდება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში რეალიზებულ საქონელს და სხვადასხვა მარკეტინგულ აქტივობებს.

8. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

გაყიდვების და მიწოდების ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
იჯარის ხარჯი	(5,372,724)	(5,557,330)
შრომის ანაზღაურება	(3,177,768)	(3,049,979)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(1,606,809)	(2,551,283)
რეკლამის ხარჯი	(2,189,588)	(2,491,396)
ცვეთის და ამორტზაციის ხარჯი	(621,678)	(443,942)
მონტაჟის ხარჯი	(478,462)	(315,403)
სხვა	(1,201,103)	(883,366)
	(14,648,132)	(15,292,699)

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	(771,828)	(784,748)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები*	(306,085)	(343,884)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(205,481)	-
საგადასახადო ხარჯები	(85,034)	(81,900)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(72,554)	(93,659)
მივლინების ხარჯები	(27,090)	(41,574)
დასუფთავებისა და შენახვის ხარჯები	(19,442)	(54,048)
საკანცელარიო ხარჯები	(13,197)	(34,419)
სხვა	(181,061)	(87,108)
	(1,681,772)	(1,521,340)

(*) - საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები 2018 და 2017 წლებში შესაბამისად მოიცავს 15,227 ლარის და 13,428 ლარის ღირებულების აუდიტის ხარჯს.

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მალაზიის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31.12.2016	783,308	1,361,280	9,890	147,515	2,301,993
შემოსვლა	390,024	463,496	22,094	5,165	880,779
გასვლა	(48,542)	(41,130)	(4,605)	-	(94,277)
31.12.2017	1,124,790	1,783,646	27,379	152,680	3,088,495
შემოსვლა	262,696	503,089	17,999	-	783,784
გასვლა	(46,745)	(266,832)	-	-	(313,577)
31.12.2018	1,340,741	2,019,903	45,378	152,680	3,558,702
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2016	-	(14,342)	(496)	(936)	(15,774)
ცვეთა	(84,619)	(355,414)	(2,721)	(1,188)	(443,942)
გასვლა	1,326	9,559	922	-	11,807
31.12.2017	(83,293)	(360,197)	(2,295)	(2,124)	(447,909)
ცვეთა	(119,818)	(477,977)	(7,586)	-	(605,381)
გასვლა	6,239	99,778	-	-	106,017
31.12.2018	(196,872)	(738,396)	(9,881)	(2,124)	(947,273)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2017	1,041,497	1,423,449	25,084	150,556	2,640,586
31.12.2018	1,143,869	1,281,507	35,497	150,556	2,611,429

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

11. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.12.2018	31.12.2017
საინფორმაციო ტექნოლოგიები*	12,455,166	14,029,607
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	3,848,542	3,474,527
სხვა	972,376	805,117
	17,276,084	18,309,251

(*) - საინფორმაციო ტექნოლოგიები შედგება შემდეგი ჯგუფებისგან: სმარტფონები, ტელევიზორები, ნოუტბუქები, კომპიუტერები, თამაშები, ვიდეო კამერები, ტალბეტები, პრინტერები, სკანერები, პროექტორები და მათი აქსესუარები.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	545,612	791,407
არაფინანსური მოთხოვნები		
ავანსები	177,305	209,698
	722,917	1,001,105

კომპანიის ფინანსური მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

კომპანიას ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საექვო. კომპანია ასევე ახდენს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური გარემოებების და მათი საპროგნოზო მაჩვენებლების მონიტორინგს და იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შემქნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით. ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი არაარსებითია და შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე ვადადაუმდგარი:	274,516	359,623
ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული:		
0-დან 90 დღემდე	79,100	112,614
91-დან 180 დღემდე	35,313	221,092
181-დან 365 დღემდე	43,196	97,992
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	113,487	86
	545,612	791,407

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2018	31.12.2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	916,512	4,314,741
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	192,211	124,495
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ევროს ვალუტაში	17,313	11,566
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე დოლარის ვალუტაში	-	8,070
ფული გზაში*	587,252	513,912
	1,713,288	4,972,784

(*) – ფული გზაში წარმოადგენს ფულს, რომელიც გადარიცხულია კომპანიის საბანკო ანგარიშზე, თუმცა 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	16,116,663	19,635,933
გადასახდელი ხელფასები	144,532	310,483
სხვა ვალდებულებები	-	192,799
არა ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	636,820	557,676
	16,898,015	20,696,891

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებული მხარე		31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
შპს ალტა	დამფუძნებელი	11,468,214	14,791,492
შპს ოქეი	დამფუძნებელი	2,077,501	2,619,164
გაუნაწილებელი მოგება - გამოცხადებული დივიდენდები			
შპს ალტა	დამფუძნებელი	(1,300,000)	-
შპს ოქეი	დამფუძნებელი	(1,300,000)	-

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებული მხარე		2018	2017
ამონაგები			
შპს ალტა	დამფუძნებელი	39,048	4,996
შპს ოქეი	დამფუძნებელი	54,860	2,509,819
მიწოდების ხარჯები			
შპს ალტა	დამფუძნებელი	(953,317)	(1,263,648)
შპს ოქეი	დამფუძნებელი	(33,155)	(84,793)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
შპს ალტა	დამფუძნებელი	(90,504)	(92,054)
სხვა შემოსავალი			
შპს ალტა	დამფუძნებელი	1,827,899	1,715,304
შპს ოქეი	დამფუძნებელი	580,124	448,680

შპს ალტაოქეი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიას 2018 და 2017 წლებში შესაბამისად შეძენილი აქვს 74,707,095 და 75,966,684 ლარის ღირებულების მარაგი შპს ალტასგან, ხოლო 26,161,742 და 24,484,857 ლარის ღირებულების მარაგი შპს ოქეისგან.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
მოკლევადიანი ანაზღაურება

2018	2017
(104,245)	(70,000)

16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

იურიდიული საკითხები

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის შეუქცევადი იჯარების მომავალი გადასახდელები, რომელთა გადახდა მოსალოდნელია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
1 წლამდე	1,895,316	1,527,308
1-დან 5 წლამდე	19,007,680	11,863,367
5 წელზე მეტი	-	8,371,208
	20,902,996	21,761,883

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 15 ივლისს შპს ალტაოქეის კაპიტალის წილობრივ ფლობაში მოხდა ცვლილება. შპს ალტა გახდა შპს ალტაოქეის 100% -იანი წილის მფლობელი. ასევე, 2019 წლის 16 ივლისს მოხდა კომპანიის სახელწოდების ცვლილება და ახალ სახელწოდებად განისაზღვრა შპს ალტა რითეილი.

18. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

18.1 შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

18.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

18. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

18.3 ამონაგები კლიენტთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ელექტრონული მოწყობილობების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;

18. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. კომპანიის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

18.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღრიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

18. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7
ავტომობილები	5
სხვა	5-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

18.5 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მიწიშენება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

18.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

18. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

18.7 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების რეალიზაციის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „FIFO“ მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

18.8 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

18.9 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

18.10 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდიდან, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

18.11 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

18. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

18.12 ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

18.13 ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის უკან დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

18.14 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

18.15 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

18.16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია.....	31
კომპანიის განვითარების მიზნები და მომხმარებლებზე ზრუნვა.....	32
კომპანიის ძირითადი კონკურენტები.....	32
დასაქმებულები.....	33
კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები.....	33
არაფინანსური მაჩვენებლები.....	34
რისკები.....	34

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალტაოქეი“ 2016 წლის 11 მაისს დაარსა შპს „ალტამ“, რომელიც 1998 წლიდან კომპიუტერული ტექნიკის ბაზრის ლიდერი იყო და შპს ოქეიმ, რომელიც ერთ-ერთი ლიდერს წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე.

კომპანია „ალტაოქეის“ საქმიანობის სფერო მოიცავს სამომხმარებლო ელექტრონული ტექნიკის რეალიზაციას (მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო-ვიდეო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, აქსესუარები) და მასთან დაკავშირებული სერვისების შეთავაზებას მომხმარებელთათვის.

„ალტაოქეი“ წარმოადგენს საცალო გაყიდვის ქსელს, რომელიც საქმიანობს ადგილობრივ ბაზარზე, არ არის იმპორტიორი(არ არის შემომტანი) და საქონელს იღებს ადგილობრივი მომწოდებლებისგან, რომელთაგან ძირითადი არის „ალტა“ და „ოქეი“. კომპანიაში შემოდის სხვადასხვა ბრენდის მხოლოდ ოფიციალური პროდუქცია, რაშიც კონკურენტული უპირატესობა აქვს ბაზრის ბევრ მოთამაშესთან შედარებით.

„ალტაოქეი“ სამომხმარებლო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია, წარმოდგენილია საქართველოს 5 ქალაქში 11 მაღაზიითა და ინტერნეტ მაღაზიით:

- ქავთარაძის მაღაზია - ქ.თბილისი, ქავთარაძის 1, სავაჭრო ცენტრი "სითი მოლი"
- საბურთალოს მაღაზია - ქ.თბილისი, ცინცაძის ქ. 5 (ყოფილი საბურთალოს ქ. 35)
- მაღაზია თბილისი მოლში - ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ, სავაჭრო ცენტრი "თბილისი მოლი", მე-3 სართული
- მაღაზია ისთ ფონთში - ქ.თბილისი, თვალჭრელიძის 2, სავაჭრო და გასართობი ცენტრი "ისტ ფონთი", I სართული
- გლდანის მაღაზია - ქ.თბილისი, ხიზაბავრის ქ. 1, სავაჭრო ცენტრი "სითი მოლი"
- მაღაზია თბილისი ცენტრალში - ქ.თბილისი, ვაგზლის მოედანი 2, სავაჭრო ცენტრი "თბილისი ცენტრალი", I სართული
- მაღაზია რუსთავში - ქ.რუსთავი, მესხიშვილის 16
- მაღაზია ქუთაისში - ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ. 4, სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა"
- მაღაზია ბათუმში1 - ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.5, მრავალფუნქციური კომპლექსი "ბათუმი პლაზა"
- მაღაზია ბათუმში2 - ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.31
- მაღაზია გორში - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 5ბ.

კომპანიის განვითარების მიზნები და მომხმარებლებზე ზრუნვა

„ალტაოქეი“ მიყვება იმ გეგმას რომელიც კომპანიის მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა დაისახეს. მთავარი მიზანი რაც კომპანიას გააჩნა იყო ბაზრის წილის ზრდა.

კომპანიის შემოსავლები წლიდან წლამდე იზრდება. 2016 წლის სექტემბერ-დეკემბერთან შედარებით, 2017 წლის იგივე პერიოდში კომპანიის შემოსავლები გაიზარდა 34.35%-ით, 2018 სრული წლის განმავლობაში 2017 წლის სრულ წელთან შედარებით შემოსავლები გაიზარდა 2.62%-ით, რაც ძალიან კარგი შედეგია საბანკო რეგულაციების და დოლარის კურსის არასტაბილურობის ფონზე.

„ალტაოქეი“ განაგრძობს განვითარებას დასახული მიზნის მიხედვით. მომავალ პერიოდში დაგეგმილია ახალი მაღაზიების დამატება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ახალი ფორმატის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლების გადაწყვეტილებით ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა კვლევა, სამომხმარებლო ბაზრის, კონკურენტებისა და მომხმარებლების მიხედვით. დაფიქსირებულმა კვლევის შედეგებმა მოსალოდნელს შედეგებს გადააჭარბა. კომპანიის ცნობადობა წლიდან წლამდე იზრდება (როგორც სპონტანური ცნობადობა, ასევე სრული ცნობადობა). ეს შედეგი ნათლად ჩანს კომპანიის შემოსავლების ზრდაშიც. მიუხედავად კარგი შედეგებისა, „ალტაოქეი“ განაგრძობს მუშაობას და გეგმავს ამ ბაზრის ლიდერი გახდეს.

ზემოთ აღნიშნული მიზნის სწრაფად მისაღწევად კომპანია მიზნად ისახავს მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესებას და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას. მიზნის მისაღწევად ტარდება ყოველდღიური ტრენინგები სერვისისა და გაყიდვების კუთხით.

„ალტაოქეი“ მომხმარებლებს ერთ სივრცეში სთავაზობს მსოფლიოს წამყვანი ბრენდების ოფიციალურ ტექნიკას, ოფიციალური გარანტიით, ასევე საუკეთესო მომსახურებას კომპეტენტური კონსულტანტების მეშვეობით. კომპანიაში მუდმივად ხდება პროდუქციის განახლება და ყოველთვის არის წარმოდგენილი ახალი მოდელები, მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ „ფლაგმანები“, იმავე დღიდან, როდესაც მსოფლიოში ოფიციალური გაყიდვები იწყება.

კომპანიის ძირითადი კონკურენტები

საქართველოში ელექტრონული ტექნიკის ბაზარი ბოლოპერიოდში ძალიან განვითარდა და გამძაფრდა კონკურენცია, რაც ძირითადად საფასო კონკურენციით გამოიხატება. გაძლიერდა პარალელური იმპორტი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს არაოფიციალურ პროდუქციას შედარებით დაბალ ფასად.

კომპანია ძირითად კონკურენტებად მიიჩნევს შემდეგ მაღაზიათა ქსელებს:

- ელიტ ელექტრონიქსი
- ზუმერი
- მეტრომარტი
- მეგატექნიკა

დასაქმებულები

კომპანიაში 2018 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 300-მდე ადამიანი, რომელთაგან 52% ქალია, 48% მამაკაცი. კომპანია მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლებს ყოველდღიურ რეჟიმში უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. შტატში გვყავს რამდენიმე პროფესიონალი ტრენერი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2019 წლიდან კომპანიაში შეიცვალა საბონუსო პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტადაა მიმართული გაყიდვების მოცულობის ზრდაზე.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2018	2017
ამონაგები	119,396,452	116,337,344
საოპერაციო მოგება	846,171	2,161,499
მთლიანი სრული მოგება	813,270	2,197,701
სულ აქტივები	22,622,719	28,208,325
საკუთარი კაპიტალი	5,724,704	7,511,434

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები

	2018	2017
მიმდინარე ლიკვიდობა	118%	124%
სწრაფი ლიკვიდობა	16%	35%
ROE	12%	34%
ROA	3%	9%
მარაგების ბრუნვა (დღე)	54	51
დებიტორული დავალიანების ბრუნვა (დღე)	2.18	3.10
კრედიტორული დავალიანების დაფრვის პერიოდი (დღე)	58	75

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკები

2018 წლის მაისში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებულმა რეგულაციებმა, დიდი დარტყმა მიაყენა ტექნიკის ბაზარს, ვინაიდან მომხმარებელთა 60% ტექნიკას ყიდულობდა განვადებით. 2018 წლის განვადების წილი მთლიან გაყიდვებში ძალიან დაეცა. 2019 წელს და შემდეგ წლებში კომპანია ელის ბაზრის დასტაბილურებას და სტაბილურ განვითარებას.

ძირითადი რისკი ტექნიკის ბაზარზე არის ვალუტის კურსი, რომლის ზრდის დროს პროდუქციის ფასი იმ პროპორციით არ იზრდება როგორც კურსი, რაც კომპანიის მომგებიანობას ამცირებს. კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს ვალუტის კურსის ცვლილებას, იმის მიუხედავად, რომ ოპერაციები არ აქვს უცხოურ ვალუტაში. მუდმივი კონტროლი და სწრაფი რეაგირება ვალუტის კურსზე, საშუალებას აძლევს ვალუტის გაუფასურებით მიღებული შესაძლო ზარალი მინიმუმამდე დაიყვანოს.

ბოლო პერიოდში, ბაზრის რისკს შეიძლება მივაკუთვნოთ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგზე. რეგულაციების შედეგების შესასუსტებლად კომპანიამ მრავალი მარკეტინგული კამპანია ჩაატარა, ძირითადად გადავიდა ნაღდი ფულით გაყიდვების წახალისებაზე, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო და „ალტაოქეის“ გაყიდვები გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 29 ივლისს:

დირექტორი

გ. ჟურული

ფინანსური განყოფილების
ხელმძღვანელი

გ. კუტალაძე

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკები


2018 წლის მაისში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებულმა რეგულაციებმა, დიდი დარტყმა მიაყენა ტექნიკის ბაზარს, ვინაიდან მომხმარებელთა 60% ტექნიკას ყიდულობდა განვადებით. 2018 წლის განვადების წილი მთლიან გაყიდვებში ძალიან დაეცა. 2019 წელს და შემდეგ წლებში კომპანია ელის ბაზრის დასტაბილურებას და სტაბილურ განვითარებას.

ძირითადი რისკი ტექნიკის ბაზარზე არის ვალუტის კურსი, რომლის ზრდის დროს პროდუქციის ფასი იმ პროპორციით არ იზრდება როგორც კურსი, რაც კომპანიის მომგებიანობას ამცირებს. კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს ვალუტის კურსის ცვლილებას, იმის მიუხედავად, რომ ოპერაციები არ აქვს უცხოურ ვალუტაში. მუდმივი კონტროლი და სწრაფი რეაგირება ვალუტის კურსზე, საშუალებას აძლევს ვალუტის გაუფასურებით მიღებული შესაძლო ზარალი მინიმუმამდე დაიყვანოს.

ბოლო პერიოდში, ბაზრის რისკს შეიძლება მივაკუთვნოთ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგზე. რეგულაციების შედეგების შესასუსტებლად კომპანიამ მრავალი მარკეტინგული კამპანია ჩაატარა, ძირითადად გადავიდა ნაღდი ფულით გაყიდვების წახალისებაზე, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო და „ალტაოქეის“ გაყიდვები გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 29 ივლისს:

დირექტორი

ფინანსური განყოფილების
ხელმძღვანელი

გ. ჟურული

გ. კუტალაძე